შპს „მალე დელივერი"-ს კონფიდენციალურობის პოლიტიკა:

შპს „მალე დელივერი„ ვალდებულია, პატივი სცეს მომხმარებლების / კურიერების / სამსახურის მაძიებლების(აპლიკანტების) / პარტნიორების / ინვესტორების / პოტენციური კლიენტების / ვებსაიტის სტუმრების კონფიდენციალურობას და დაიცვას მათი პერსონალური მონაცემები. შპს „მალე დელივერი"-ს კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანია მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება, მონაცემთა დამუშავება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანი:

კონფიდენციალურობის პოლიტიკა გვაწვდის ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტების პერსონალური ინფორმაციია დამუშავების შესახებ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის შესაბამისად. ჩვენს მომხარებლებს შეუძლიათ შევიდნენ ჩვენს მთავარ ვებსაიტზე: (e-mail)>>დაგვიკავშირდით>>პოლიტიკა, ან აპლიკაცია: დახმარება>>არ არის დაკავშირებული შეკვეთასთან>>პოლიტიკა და იქ მათ შეუძლიათ აირჩიონ შესაბამისი უფლება, რომლის გამოყენებაც სურთ.

რეკომენდაცია: თითოეულმა მომხმარებელმა.კურიერმა ყურადღებით წაიკითხოს, შპს „მალე დელივერი"-ს კონფიდენციალურობის მიმოხილვასთან ერთად პერსონალური მონაცმებეის დამუშავების და შენახვის პოლიტიკა და მთავარი ასპექტები.

შესაძლო ცვლილებები და განახლებები კონფიდენციალურობის პოლიტიკაში:

შპს „მალე დელივერის"-ს საქმიანობის კონფიდენციალურობის პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ან განახლდეს, შპს წინასწარ აცნობებს მომხმარებელებს და კურიერებს კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ცვლილებებისა და მოდიფიკაცის შესახებ, ელფოსტით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით. შპს „მალე დელივერი" არავითარ შემთხვევაში არ შეცვლის თავის პოლიტიკას ან პრაქტიკას ისე, რომ ისინი ნაკლებად ეფექტური გახდეს, მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დაცვაში.

თუ ჩვენს მონაცემთა სუბიექტებს აქვთ რაიმე ეჭვი აშპს კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით, ან სურთ მიიღონ მეტი ინფორმაცია, ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ შპს-ს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტის მისამართზე:

თქვენი უფლებები: თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს ისარგებლოთ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული თქვენი უფლებებით, და შემდეგ ელფოსტის მისამრთზე გამოაგზავნო შესაბამისი შეტყობინება().

პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული თქვენი უფლებები: წვდომის უფლება, შესწორების უფლება, წაშლის უფლება, დამუშავებაზე წინააღმდეგობის გაწევის უფლება, პროფილირებაზე წინააღმდეგობის გაწევის უფლება, ნებისმიერი მარკეტინგული შეტყობინების გამოწერის გაუქმების უფლება.

როდესაც თქვენ ხართ მომხმარებელი ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები: სამართლებრივი მიზნებისთვის ჩვენს აპლიკაციაში ჩაღენილი თაღლითობისა და დანაშაულის შემთხვევაში; სამართლებრივი რეგულაციების დასაცავად; თქვენი მოთხოვნების სამართავად, ნებისმიერი პრეტენზიისა და სარჩელის შესატანად ან/და მხარდასაჭერად, შესაძლებლობის მოსაცემად შექმნათ თქვენი საკუთარი ანგარიში, იპოვოთ უახლოესი კურიერი, განახორციელოთ

გადახდის დამუშავება, თქვენს მიერ პლატფორმის გამოყენების შესასწავლად, მომსახურების გაწევისთვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების თქვენთვის მოსაწოდებლად, უსაფრთხოების მიზნებისთვის, მოწყობილობის, ადგილმდებარეობის, პროფილის და სხვა მონაცემების გამოსაყენებლად, სახიფათო აქტივობების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაჩენად, სტატისტიკური და კვლევითი მიზნებისთვის, შესყიდვის ქცევისა და მახასიათებლების გასაანალიზებლად, გასაგებად, თუ როგორ იყენებთ ჩვენს პლატფორმას, თქვენთვის საინტერესო გამოკითხვების,კონკურსებისა და შეტყობინებების გამოსაგზავნად, ფინანსური გამოთვლების განსახორციელებლად, მარკეტინგული და არამარკეტინგული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო, კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად, გასაანალიზებლა თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მომსახურებები, შეთავაზებების, პრომოაქციების, ფასდაკლებების, წინადადებების თქვენთვის მოსაწოდებლად, სარეკლამო აქტივობების განსახორციელებლად, მომსახურება თქვენი კითხვებს ან კონსულტაციებზე პასუხის გასაცემად, თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მოსაწოდებლად,

თუ თქვენ ხართ პოტენციური კლიენტი, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები:

თქვენი მოთხოვნების დასამუშავებლად შპს"მალე დელივერი"-ს მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა ან/და მომსახურებების მისაღებად და პერსპექტიული ურთიერთობის მართვისთვის, მარკეტინგის, კომუნიკაციის, კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად ,,მალე დელივერის"-ს პროდუქტებსა ან/და მომსახურებებთან დაკავშირებით, რაც თქვენს მოთხოვნაში შედის.

თუ ხართ ვებსაიტის სტუმრები , ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი მონაცემები:

შპს ,,მალე რელივერი"-ს ვებსაიტსა ან ჩვენს ბლოგზე თქვენი კომენტარებისთვის თვალყურის სადევნებლად, თქვენს მოთხოვნასთან დაკავშირებით პასუხის გასაცემად.

თუ თქვენ ხართ კურიერი ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენი მონაცემები მიმღებთა სხვადასხვა ჯგუფს: მრჩევლებსა,კონსულტანტებს, ბუღალტრული, შრომითი, საგადასახადო, სადაზღვევო, იურიდიული და ტექნიკური საქმიანობის განსახორციელებლად, სახელმწიფო ორგანოებს (საგადასახადო ორგანო, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და ა.შ.), მომხმარებლებს, რომლებმაც განათავსეს შეკვეთა, რომლის შესრულებაზეც შეთანხმდით, პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კომპიუტერული მონაცემების შეტანასა და მართვაზე.

თქვენი უფლებები პერსონალურ მონაცემებზე: თქვენ შეგიძლიათ უფასოდ ისარგებლოთ თქვენი უფლებებით ნებისმიერ დროს, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენს მთავარ ვებსაიტზე: (მაილი)>>დაგვიკავშირდით>>პოლიტიკა, ან აპლიკაციაში, შემდეგზე შესვლით: დახმარება>>არ არის დაკავშირებული შეკვეთასთან>>პოლიტიკა. თქვენი უფლებების გასაცნობად ან თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა, გთხოვთ, მოგვწეროთ ელექტრონულ მისამართზე ()

თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი უფლებებით შპს "მალე დელივერ"-თან მიმართებით: თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებით, რომ იცოდეთ, რომელი მონაცემები მუშავდება და მათზე განხორციელებული დამუშავების ოპერაციები; თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ნებისმიერი უზუსტობის გამოსწორების უფლებით; თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლის უფლებით, სადაც ეს შესაძლებელია; მონაცემთა წაშლის მოთხოვნის ჩვენთვის გამოგზავნით. თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვის მოთხოვნის უფლებით, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მონაცემთა სიზუსტე, კანონიერება ან

დამუშავების საჭიროება, რა შემთხვევაშიც, ჩვენ შეიძლება შევინახოთ მონაცემები პრეტენზიების წარდგენის ან მხარდაჭერის მიზნით. თქვენი მონაცემების პორტატიულობის მოთხოვნის უფლებით მომსახურების სხვა მიმწოდებელთან. ჩვენ გადმოგცემთ თქვენი მონაცემების ასლს, რათა მომსახურების სხვა მიმწოდებელს მიაწოდოთ. თუ თქვენ მოგვთხოვთ ამის გაკეთებას და ეს ტექნიკურად შესაძლებელია, ჩვენ გადავცემთ მონაცემებს პირდაპირ მომსახურების სხვა მიმწოდებელს თქვენი სახელით. უფლებით, გააპროტესტოთ თქვენი მონაცემების დამუშავება ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც თქვენ შეიძლება წამოჭერით ჩვენთან საკონტაქტო ფორმის საშუალებით (ვებსაიტი: ემაილ>>დაგვიკავშირდით>>პოლიტიკაან აპლიკაციაში: დახმარება>>არ არის დაკავშირებული შეკვეთასთან>>პოლიტიკა) გააპროტესტოთ თქვენი მონაცემების დამუშავება სოციალურ მედიაში. თუ თქვენ ხართ მომხმარებელი და არ გსურთ რაიმე მარკეტინგული შეტყობინების მიღება, თქვენ გაქვთ უფლება, გააუქმოთ გამოწერა ნებისმიერ მარკეტინგულ შეტყობინებაზე, ელფოსტის გაგზავნით ან ყველა კომერციულ შეტყობინებაში ამ მიზნით მოცემული ბმულის გამოყენებით. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს გააპროტესტოთ პროფილირება, ელფოსტის გაგზავნით მისამართზე:

თუ ფიქრობთ, რომ შპს „მალე დელივერი“ არღვევს მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს: შეგიძლიათ ელ ფოსტის საშუალებით დაუკავშირდეთ შპს „მალე დელივერი“ და მოსთხოვოთ დაიცვას მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი და აღმოფხვრას დარღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გაქვთ მიმართოთ სასამართლოს.

პერსონალური მონაცემების მონაცემთა მაკონტროლებელი არის შპს „მალე დელივერი“ მის: საქართველო, ქალაქი თბილისი,ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 211, კორპუსი 2, ბინა 10

შპს „მალე დელივერი“ დაამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნებისათვის: 1. სამართლებრივი მიზნებისათვის; 2. სახელშეკრულებო მიზნებისათვის; 3. უსაფრთხოების მიზნებისათვის; 4. სტატისტიკური და კვლევითი მიზნებისათვის; 5. მარკეტინგული და კომერციული მიზნებისათვის ; 6. არამარკეტინგული მიზნებისათვის;

სამართლებრივი მიზნები :

შპს „მალე დელივერი“-ს ყველა მომხმარებლის წინააღმდეგ ჩადენილი თაღლითობისა და შესაძლო დანაშაულების აღმოჩენისა და გამოძიებისთვის; კანონმდებლობის შესასრულებლად იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საკანონმდებლო რეგულაცია გვავალდებულებს, შევინახოთ თქვენი მონაცემები განსაზღვრული ვადით; თქვენი მოთხოვნ(ებ)ის სამართავად და შესასრულებლად; ადგილობრივი რეგულაციებით დადგენილი უფლებების განსახორციელებლად; ნებისმიერი სუბიექტის წინააღმდეგ სარჩელების შესატანად, წარსადგენად და მხარდასაჭერად,

სახელშეკრულებო მიზნები: შპს „მალე დელივერი“ ამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს: 1) მოგცეთ შესაძლებლობა, შექმნათ თქვენი საკუთარი ანგარიში; 2) მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი მომსახურებაი და ნებისმიერი დამატებითი ფუნქცია პლატფორმაზე; 3)იპოვოთ უახლოესი კურიერი თქვენს მიერ მითითებულ მიტანის პუნქტთან; 4) აცნობოს თქვენს შეკვეთაზე თქვენ მიერ შერჩეულ კურიერს და მოგაწოდოთ უახლესი ინფორმაცია თქვენი შეკვეთის სტატუსის შესახებ; 5) დაგეხმაროთ გადაწყვეტილების მიღებასა და მომსახურების გამოყენებაში, შესაძლებლობის მოსაცემად, სწრაფად შეუკვეთოთ ხელახლა ობიექტებიდან, შემოგთავაზოთ ობიექტები წარსული შეკვეთების ან მომხმარებლებს შორის „პოპულარობის“ მიხედვით; 6)გამოგიგზავნოთ ქვითარი, რომელიც შეესაბამება თქვენს შეკვეთებს; 7)დავუშვათ თქვენი

პირდაპირი კონტაქტი თქვენს შეკვეთაზე პასუხისმგებელ კურიერთან; 8) დაგვიკავშირდთ თქვენს შეკვეთებთან დაკავშირებით რაიმე ინციდენტის შემთხვევაში; 9) რათა დავამუშაოთ ანაზღაურებები და კომპენსაციები,როგორც პრომოკოდების, ისე საბანკო დაბრუნებების საშუალებით; 10) შეგატყობინოთ ჩვენი მომსახურებების, წესებისა და პირობების, კონფიდენციალურობის პოლიტიკის, ინფორმაცია ნებისმიერი ცვლილებების ან განახლებების შესახებ, რამაც არსებითად შეიძლება მოახდინოს გავლენა თქვენზე;

უსაფრთხოების მიზნები:

შპს „მალე დელივერი" ამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს: 1) რათა გამოვიყენოთ მოწყობილობა, ადგილმდებარეობა (გეოლოკაციის მონაცემები, თუ თანახმა ხართ), პროფილი, და სხვა მონაცემები სახიფათო აქტივობების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაჩენად (მაგ:თაღლითობა, პირადობის გაყალბება, ანგარიშის გატეხვა, ფიშინგი და ა.შ);

2) თვალყური მივადევნოთ ყველა ქმედებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თაღლითობა ან თქვენ მიერ გამოყენებულ გადახდის მეთოდთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. თუ რაიმე დარღვევები გამოვლინდა, შპს „მალე დელივერი" იტოვებს უფლებას, შეინახოს მოწოდებული მონაცემები და გაუზიაროს ისინი კომპეტენტურ ორგანოებს გამოძიების ჩასატარებლად;

3) დავრწმუნდეთ, რომ, იცავთ საკანონმდებლო მოთხოვნებს კონკრეტულ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ პლატფორმის საშუალებით (მაგ: ალკოჰოლური სასმელებისთვის კანონით დადგენილი ასაკი).

სტატისტიკური და კვლევითი მიზნებისათვის:

შპს „მალე დელივერი" ამუშავებს თქვენს სტატისტიკას თქვენი პერსონალური მონაცემების საფუძველზე: 1) გავაანალიზოთ ტენდენციები, შესყიდვის ქცევა და მახასიათებლები; 2) გავიგოთ, როგორ იყენებთ ჩვენს პლატფორმას; 3) ვმართოთ და გავაუმჯობესოთ შემოთავაზებული მომსახურებები, მათ შორის, ახალი ან განსხვავებული ფუნქციებისა და მომსახურებების დამატების შესაძლებლობის მოცემით, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მარკეტინგული და კომერციული მიზნები:

შპს „მალე დელივერი" ამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს: 1)განვახორციელოთ მარკეტინგული, საკომუნიკაციო, კვლევითი და განმავითარებელი აქტივობები; 2)გავაანალიზოთ და გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მომსახურებები ; 3)მოგაწოდოთ პერსონალიზებული შეთავაზებები, პრომოაქციები, ფასდაკლებები, წინადადებები, ნახვები და ვარიანტები აპლიკაციაში, ელფოსტით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით; 4) განვახორციელოთ სარეკლამო აქტივობები, შეჯიბრებები, გათამაშებები, ტენდერები, ვიქტორინები, კონკურსები მომხმარებლებს შორის, როდესაც ისინი გამოიწერენ ან/და გაგზავნიან თავიანთ მონაცემებს ასეთი კამპანიებისთვის;

არამარკეტინგული მიზნები:

შპს „მალე დელივერი" ამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს: 1)შევქმნათ და მოგაწოდოთ ქვითრები თითოეული თქვენი შეკვეთიდან, რომელიც განთავსებულია ჩვენი აპლიკაციის საშუალებით; 2)გაცნობოთ პლატფორმაზე ნებისმიერი ინციდენტის შესახებ ან მომსახურებების

ფუნქციონირებაზე, მათ შორის, თქვენს შეკვეთებთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ. ინფორმაცია შეიძლება გაიგზავნოს ელფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ; 3) გაცნობოთ ჩვენს წესებსა და პირობებში, კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, მომსახურებებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ; 4)დავამუშაოთ პრეტენზიები თუ თქვენ გვატყობინებთ რაიმე ზიანის ან გაუთვალისწინებელი მოვლენის დადგომას;

შპს „მალე დელივერი" ფლობს შემდეგ მონაცემებს თქვენს შესახებ: 1. უშუალოდ თქვენს მიერ მოწოდებული სარეგისტრაციო მონაცემები; 2. თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი და მიტანის მისამართი. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ და დაარედაქტიროთ პერსონალური მონაცემები თქვენს პროფილზე, როდესაც გსურთ; 3. გადახდის ინფორმაცია; 4. დამატებითი ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს „მალე დელივერ"-ს;

5.შპს „მალე დელივერი"-სათვის თქვენს მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია შეკითხვისა თუ საჩივრის გადასაჭრელად; 6. საუბრების ტრანსკრიფცია და ჩაწერა ინციდენტების, მოთხოვნების ან სხვა კონსულტაციების დასამუშავებლად, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ჩვენი მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესებისთვის; 7. თქვენსა და დელივერებს შორის გაცვლილი შეტყობინებები, როდესაც საჭიროა მომხმარებელთა და დელივერებს შორის რაიმე ინციდენტის ან დისკუსიის განხილვა; 8. ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც თქვენ აწვდით თქვენს მოთხოვნებში, კომენტარებსა თუ შეკითხვებში;

შპს „მალე დელივერი"-ს არასოდეს ექნება წვდომა კომუნიკაციებზე, თუ ეს არ არის მკაცრად საჭირო და ყოველთვის უზრუნველყოფს მისი მომხმარებლების კონფიდენციალურობას და მის პლატფორმაზე გაცვლილი ყველანაირი ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

შპს „მალე დელივერი" გარანტიას იძლევა, რომ ყველა მიმწოდებელი ინფორმაცია დაამუშაოს. წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკისა და მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არ გავუმჟღავნებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მესამე პირს.

მონაცემები შეიძლება გაუზიარდეს: 1.კურიერს, რომელიც ახორციელებს პროდუქტის შეგროვებისა და მიტანის დავალებას; 2. გადახდის პლატფორმასა და გადახდის მომსახურების მიმწოდებლებს, რათა თანხა ჩამოიჭრას ანგარიშიდან; 3.მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებიც აგზავნიან ამანათებს, ასრულებენ შეკვეთებს (მათ უნდა დაამუშაონ პერსონალური ინფორმაცია, როგორც ეს მოცემულია კონფიდენციალურობის პოლიტიკასა და მონაცემთა დაცვის მოქმედ კანონმდებლობაში); 4.აფთიაქებს(შპს- მ შეიძლება მიაწოდოს თქვენი სახელი და ტელეფონის ნომერი ფარმაცევტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფარმაცევტული რჩევების მიწოდებას);

მესამე პირების მიერ თქვენი მონაცემების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, თქვენი მონაცემები შეიძლება იყოს ანონიმური.

შპს „მალე დელივერ"-ს შეუძლია გაუმჟღავნოს პერსონალური მონაცემები სამართალდამცავ ორგანოებს, თუ ას აუცილებელია კანონის აღსასრულებლად, ასევე შპს-ს და მომხმარებლების უსაფრთხოების დასაცავად.

შპს „მალე დელივერი" თავის თანამშრომლებსა და მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას, რომ ის ახორცილებეს მათ მიერ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს.

შპს „მალე დელივერი“ მის: საქართველო, ქალაქი თბილისი,ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 211, კორპუსი 2, ბინა 10